

კონსტანტინ შერემეტიევი

ინტელექტის მუშაობის მთავარი პრინციპი



თარგმნა: ხვიჩა მებონიამ

ინტელექტის მუშაობის მთავარი პრინციპი

ითვლება რომ ხატვას ერთი სახის ტალანტი სჭირდება, მათემატიკას კი სხვა. ნებისმიერს რომ ჰკითხოთ, გეტყვით, ჭადრაკის თამაში და პოლიტიკური თამაშები სხვადასხვა თემაა და მათში წარმატების მისაღწევად განსხვავებული უნარებია საჭირო.

მაგრამ მრავალწლიანი კვლევების შედეგად მე მივედი დასკვნამდე, რომ:

ადამიანი ყველა თავის პრობლემას ყოველთვის წყვიტავს ერთი და იმავე საშუალებით.

არა აქვს მნიშვნელობა რა პრობლემაა. ეს შეიძლება იყოს რაიმე თეორემის დამტკიცება, კოსმოსური ხომალდის აგება, რეკლამის შექმნა, წიგნის დაწერა თუ არჩევნებში გამარჯვება. ნებისმიერი პრობლემის ამოხსნის საშუალება ერთია. იცვლება მხოლოდ გამოყენებული ინსტრუმენტები. მაგალითად მხატვარს ხელში ფუნჯი უჭირავს, კონსტრუქტორს სახაზავი, მოჭადრაკეს ჭადრაკის ფიგურები და ამიტომაც გვეჩვენება რომ ისინი აკეთებენ განსხვავებულ რამეებს.

მაგრამ, სინამდვილეში ისინი აკეთებენ ერთი და იგივეს - ისინი იყენებენ საკუთარ ინტელექტს. უბრალოდ იმათ, ვინც მიაღწიეს წარმატებას ისწავლეს ფიქრი სწორად, ეფექტურად. ყველა დანარჩენი ფიქრობს არასწორად. არაეფექტურად. სწორად ამიტომ მათ არ შეუძლიათ გამოიგონონ რაიმე, შექმან, დახატონ, დაწერონ. მათ წარმატების მიღწევა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირობით, თუ ვინმე მისცემს ერთგვარ რეცეპტს, თუ რა და როგორ უნდა გააკეთონ.

სწორად ფიქრის პროცესი შეიძლება შევადაროთ ცურვას. სანამ თქვენ არ იცით ცურვა ვერ ხვდებით როგორ შეიძლება წყალზე ისე შეიკავო თავი რომ არ ჩაიძირო, მაგრამ როცა ისწავლით ცურვას, მერე უკვე ყველაფერი მარტივია.

იგივენაირად ხდება ინტელექტის შემთხვევაშიც. თავიდან სწორად ფიქრის საშუალება გვეჩვენება უცნაურად. საერთოდ გაუგებარია როგორ შეიძლება შექმნა რამე სიახლე, მოიფიქრო და განახორციელო რაიმე განსაკუთრებული ასეთი უცნაური საშუალებებით. მაგრამ ყველა დიდი, გენიალური ადამიანი იყენებდა აზროვნების სწორედ ამგვარ საშუალებას.

აღბათ გსმენიათ ფრაზა: „ნიჭიერი ადამიანი ნიჭიერია ყველაფერში“. ეს ასეც არის. თუ თქვენ გადახედავთ ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიებს, მაშინ შეამჩნევთ რომ მათი ტალანტები ძალიან ჰგავს ერთანეთს.

ისინი უბრალოდ კი არ აღწევდნენ წარმატებას თავიანთ სფეროში, მათ შეეძლოთ მიეღწიათ წარმატებისთვის თითქმის ნებისმიერ დარგში. მათი წარმატების საიდუმლო იმაში კი არ არის



რომ ჰქონდათ უნარი რაიმე კონკრეტულ სფეროში, არამედ იმაში, რომ განავითარეს საკუთარი ინტელექტი.

მართალია თავიანთი ძირითადი კვალი ისტორიაში დატოვეს ერთ რომელიმე დარგში. მაგრამ ეს იმიტომ, რომ დაკავებულები იყვნენ იმ საქმით, რომელიც მათ იტაცებდა, რომლის კეთებაც სიამოვნებას ანიჭებდა. ხოლო თუ ისინი ერთდროულად რამოდენიმე საქმეს კიდებდნენ ხელს, მაშინ ხდებოდნენ უნივერსალური გენიოსები. როგორებიც იყვნენ მაგალითად არისტოტელე, ლეონარდო და ვინჩი, რენე დეკარტი, ლომონოსოვი, ლევ ტოლსტოი და ა.შ.


მაშ ასე, ერთადერთი საშუალება წარმატების მისაღწევად ნებისმიერ დარგში, არის ინტელექტის განვითარება.

ახლა კი მოდით გავერკვეთ იმაში თუ როგორ უნდა ვისწავლოთ სწორად ფიქრი. ამისთვის საჭიროა პირველ რიგში იმის გარკვევა, თუ როგორ მუშაობს ინტელექტი.

1. ინსტიქტური რეაგირება

მოდით დავიწყოთ მარტივი ორგანიზმებიდან. მაგალითად, ჩვეულებრივი ჭიები.

მათთან ყველფერი მარტივია. მათი ქცევები მკაცრად იმართება თანდაყოლილი პროგრამით - ინსტიქტით.



თითოეულ სტიმულზე ყველა ჭია რეაგირებს ერთნაირად. და ეს არ არის დამოკიდებული არც ასაკზე და არც გამოცდილებაზე. ინსტიქტური რეაგირების საერთო პრინციპი შეიძლება გამოვხატოთ შემდეგნაირად.

რაიმე სტიმულზე ირთვება ორგანიზმში ჩაშენებული ქცევის პროგრამა. ის გამოიმუშავებს და იძლევა გარკვეული სახის რეაქციას. ამ პროგრამაში შეიძლება იყოს განშტოებები და ამიტომ ქცევაც შეიძლება იყოს რთული, მაგრამ ეს ქცევა გარდაუვალია. კონკრეტულ სტიმულზე ყოველთვის კონრეტული რეაქციაა.



ამგვარი მიდგომა, ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებული გვაქვს ადამიანებსაც. ყველა ინსტრუქცია, წესები და რეცეპტები ემსახურება ერთ მიზანს - არ არის საჭირო ფიქრი, გააკეთე ასე და ამგვარად.


ხანდახან ეს კარგაცაა. ატომურ სადგურზე სადაც ინსტრუქციის არ ცოდნამ ან მისგან ოდნავ გადახვევამაც კი შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს, არ ღირს აიყვანო სამუშაოდ კრეატიული, თავისუფალი აზროვნების და ექსპერიმენტების მოყვარული ადამიანი. იქ საჭიროა ისეთი, ვინც მკაცრად დაიცავს წესებს და ინსტრუქციებს.

ინსტიქტურ რეაგირებას ინტელექტი არ სჭირდება. ამიტომ შეუძლიათ ამ პროგრამით მოქმედება არაგონიერ, პრიმიტიულ არსებებსაც.

გადავიდეთ შემდგომ ეტაპზე.

2. რეაგირება სწავლებით.

ცხოველებს, რომლებსაც აქვთ თავის ტვინი, შეუძლიათ რეაგირება უკვე სწავლებით. ანუ ყოველი ქმედება, ქცევა, რომელსაც ცხოველი ახორციელებს, იწახება მის მეხსიერებაში. ყალიბდება ცხოვრებისეული გამოცდილება.



შედეგად ქცევები ხდება ბევრად უფრო მოქნილი და ესადაგება შექმნილ სიტუაციას. მაგრამ გამოცდილების შესაძლებლობები, მაინც შეზღუდულია, რადგან ის ეყრდნობა მხოლოდ იმას, რაც უკვე იყო. გამოცდილებას, თავისთავად რაიმე ახლის შექმნა არ შეუძლია.


და აი აქ ერთვება საქმეში ინტელექტი.

3. ინტელექტუალური რეაგირება

ინტელექტმა მიიღო ახლის შექმნის შესაძლებლობა საკუთარი თავის იმ არსით გამოხატვაში, რასაც ჩვენ „მე“-ს ვუწოდებთ.

ახლის შექმნა შესაძლებელია საკუთარ „მე“-ზე ზემოქმედებით. ამ პროცესს აქვს მრავალი სახელწოდება: თვითსწავლება, თვითგანვითარება, თვითსრულყოფა. მაგრამ საფუძვლად ამ ყველაფერს უდევს ერთი რამ: საკუთარი „მე“-ს შეცვლა.





და აი უკვე შეგვიძლია მოვახდინოთ ფორმულირება იმ საერთო პრინციპისა, რომელიც უდევს საფუძვლად სწორად, ეფექტურად აზროვნებას. აზროვნებას გენიოსებისა:

ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება საკუთარი „მე“-ს შეცვლით.

ანუ, თუ ჩვენს წინაშე დგება ამოცანა, რომლის ამოხსნაც არ შეგვიძლია, ჩვენ გვაქვს ორი ვარიანტი:

პირველი ვარიანტი ჩვეული და არასწორი - საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გადაწყვეტოთ, რომ ჩვენ ამ ამოცანის ამოხსნა არ შეგვიძლია. როგორც ზემოთ განვიხილეთ, ეს არის ცხოველების ხვედრი.

მეორე ვარიანტი - ეს არის გენიოსების გზა. მისი არსი მდგომარეობს იმის გაცნობიერებაში, რომ ამოცანის ვერ ამოხსნის მიზეზი მდგომარეობს ჩემი „მე“-ს შეზღუდულობაში და ვასწავლოთ საკუთარ თავს, ამ „მე“ საზღვრების გაფართოება.

ინტელექტის განვითარება პირველ რიგში გულისხმობს საკუთარი თავის შეცნობას. ვინ ვართ, რას წარმოვადგენთ. რა არის ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები. რა უნდა შევცვალოთ ჩვენში. ჩვენ უნდა ვისწავლოთ სწავლა. გავარკვიოთ რა გვაკლია, რა გვიშლის ხელს, რა არ მუშაობს და ვისწავლოთ როგორ შევცვალოთ ეს ყველაფერი.

ინტელექტის განვითარება ეს არის საკუთარი თავის გამომერწვის კურსები.

როგორ ვისწავლით, ეს სხვა საკითხია. შესაძლებლობებები უსაზღვროა. წაიკითხო წიგნი. იპოვო მენტორი, გაიარო კურსები, ტრენინგები, ჩაატარო ექსპერიმენტები და ა.შ. მთავარია გავაცნობიეროთ, რომ არ არსებოს შეზღუდვა გარდა იმისა რასაც ჩვენ ვუწესებთ საკუთარ თავს.

თუ თქვენ ამბობთ „მე არ შემიძლია, არ ვიცი“, ყოველთვის აღმოჩნდებით მართალი. იმიტომ რომ თქვენ უკვე ამ სიტყვებით შეზღუდეთ საკუთარი თავი. ჩასვით ის გარკვეულ ჩარჩოებში.

ძალიან მნიშვნელოვანია ეს გავაცნობიეროთ. ის საზღვრები რომლებსაც ჩვენ ვხედავთ, არის სინამდვილეში ჩვენს მიერ შექმნილი. თუ ერთმა ადამიანმა შეძლო მუსიკის დაწერა ან რადიოს გამოგონება, ესე იგი პოტენციურად იგივე რამეების გაკეთება შეგვიძლია ჩვენც.



ამიტომ როცა „გადაუჭრელ“ ამოცანას წავაწყდებით ცხოვრებაში უნდა ვუთხრათ საკუთარ თავს, რომ „მე ჯერ არ ვიცი, მე ჯერ არ შეიძლება“ და შემდეგ კი ვეძებოთ გზების როგორ ვასწავლოთ საკუთარ „მე“-ს იცოდეს, შეეძლოს და აკეთოს.

როგორ მოქმედებს ჩვენი ინტელექტი ჩვენს ცხოვრებაზე

ჩვენი ინტელექტის განვითარების დონე განსაზღვრავს მთელს ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებას დილიდან საღამომდე. როგორ ვგრძნობთ თავს, ვისთან ვურთიერთობთ, რამდენად საინტერესო საქმით ვართ დაკავებული - ეს ყველაფერი ჩვენი ინტელექტის განვითარების დონის შედეგია.

ინტელექტი ეს ისეთივე ორგანოა, როგორც გული, ფილტვები ან კუნთები და მუშაობს იგივე პრინციპებით. თუ ორგანოს აქტიურად ვიყენებთ, ის იწვრთნება და ვითარდება. ხოლო თუ არ ვიყენებთ, ატროფირდება.

ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ თუ აქტიურ, პროფესიონალ სპორტსმენს იძულებით ჩავაწვევთ ლოგინში, ერთ თვის შემდეგ მის სხეულზე ჩნდება ნაწოლები, ხოლო კუნთები იმ დონეზე სუსტდება, რომ ყავარჯნების გარეშე ვერ შეძლებს გადაადგილებას.

იგივე ემართება ინტელექტსაც. თუ ჩვენ მას არ ვიყენებთ, მაშინ ის ძალიან მალე კარგავს დამოუკიდებლად აზროვნების უნარს და უყალიბდება ნერვული დარღვევები.

ინტელექტის დონის დაქვეითებისას კლებულობს გარემოსდმი ინტერესის დონე, იკარგება რეალურობის და ილუზიის გარჩევის უნარი.

ადამიანში იწყება მუდმივად სულიერი განგაში შეგრძნება, დამაბლობა და გაღიზიანებადობა. ეს ემსგავსება მდგომარეობას, როცა ნაწოლების გამო ნებისმიერი მოძრაობა ხდება ძალიან მტკივნეული.

ნევროზები - ეს არის ინტელექტის ნაწოლები.

რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, ყოველდღიური უსიამოვნებების უმეტესობა გამოწვეულია ინტელექტუალური სისუსტით.

მოდი განვიხილოთ ერთ-ერთი ხაფანგი იმ მრავალთაგან, რომლებშიც ადამიანები ხვდებიან ფაქტიურად ყოველდღე.

თქვენ ხართ ამაღლებულ განწყობაზე, ძალიან ენერგიულად გრძნობთ თავს და ის ის არის უნდა დაიწყოთ ძალიან მნიშვნელოვანი საქმე, რომ ამ დროს რეკავს მეგობარი და გიყვებათ თუ რა უსამართლოა ეს ცხოვრება. ის არ გეშვებათ და მთელი საათი გიჭედავთ ტვინს უზარამაზარი ნეგატიური ენერგიით. ამ ყველაფერს მიაქვს მთელი თქვენი ენერგია. რომლის



შემდეგაც თქვენ კარგავთ მოტივაციას, ფეხებზე იკიდებთ ყველაფრს და დროს ან ტელევიზორთან ან სოციალურ ქსელებში ბოდიალში ატარებთ.

აქ თქვენ წააგეთ ყველა პარამეტრებით:

- არ გააკეთეთ ის რაც გინდოდათ
- გაიძულეს გაგეკეთებინათ ის რაც სხვას უნდოდა
- თქვენ არ მიგიღიათ ამ ყველაფრისგან არანაირი სიამოვნება.

თუ ვინმე გვკითხავს რატომ ვიგდებთ საკუთარ თავს ასე აბუჩად, მოიძებნება უამრავი მიზეზი თავის მართლებისთვის: „მე არ შემიძლია უარი ვუთხრა მეგობარს! მე არ შემიძლია დავშვიდდე და ვაკეთო ჩემო საქმე როცა ახლობლები ნერვიულობენ! მე ვმშვიდდები როცა ტელევიზორს ვუყურებ! მე გულს ვაყოლებ სოციალურ ქსელში ურთიერთობას!“

მიაქციეთ ყურადღება - ყველა ეს პრობლემა დაკავშირებულია „მე“-სთან. სანამ ჩვენ არ ვისწავლით როგორ მოვექცეთ საკუთარ „მე“-ს, მანამდე ვერ შევძლებთ ცხოვრებისგან სიამოვნების მიღებას.

საბედნიეროდ ამ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. როგორც კი ჩვენ დავიწყებთ ინტელექტის გამოყენებას, ის დაიწყებს განვითარებას. ასე რომ თუ იგრძნობთ გონების სისუსტეს, მოუხმეთ ჭკუას და გაგივლით.

თქვენ ამას შეამცნევთ იმით რომ თქვენი აზრები შეიცვლება. თქვენ ისწავლით საკუთარ „მე“-სთან ისე მოქცევას, რომ როცა დააგჭირდებათ, მოგივთ შემდეგი აზრები: „მე მინდა ვივარჯიშო, მე დავაჭერ ღილაკს და გამოვრთავ ტელევიზორს. მე ვიპოვი საჭირო სიტყვებს და შევწყვიტავ არაფრის მომცემ ლაპარაკს... და მე დავტკბები ცხოვრებით.“

როგორ არის დაკავშირებული ინტელექტი

ჯანმრთელობასთან

დღეს მიღებულია ის აზრი, რომ აზროვნება ეს არის რაღაც აბსტრაქტული პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ორგანიზმისგან დამოუკიდებლად, თავისთავად. ეს დიდი შეცდომაა.

ინტელექტი გაჩნდა ევოლუციის შედეგად და ის სჭირდება ორგანიზმს ისევე როგორც ვთვით სისხლის მიმოქცევის და იმუნური სისტემები. ინტელექტს აქვს პირდაპირი კავშირი ორგანიზმის ყველა სისტემასთან.

ორგანიზმში ყველაფერი ახდენს ზეგავლენას ყველაფერზე.

ეს შეიძლება გამიხატოს შემდეგნაირად:



ადამიანი ფიქრობს არა მხოლოდ ტვინით, არამედ მთელი სხეულით.

ჯანსაღი სხეული წარმოქმნის ჯანსაღ აზრებს. ჯანსაღი აზრები აყალიბებენ ჯანსაღ სხეულს. თითოეული, ხაზს ვუსვამ თითოეული აზრი პირდაპირ ზემოქმედებს ადამიანის იმუნური სისტემის მდგომარეობაზე. ექსპერიმენტებმა აჩვენა რომ ერთი სიტყვის წარმოთქმასაც კი შეუძლია შეცვალოს პულსი, წნევა, ერ ითროციტების დინე სისხლში და ა.შ.

ამიტომ არის აზრების ჰიგიენა ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც სხეულის. თუ ჩვენ გვინდა ვიყოთ ჯანმრთელები, მაშინ ყოველდღიურად უნდა გავასუფთაოთ ცვნი აზრები ისევე როგორც ვიბანთ ხელებს ან ვიწმინდავთ კბილებს.

ჯონ ბერფუტი, დიუკის უნივერსიტეტიდან, 15 წლის განმავლობაში იკვლევდა 500 მეტ მამაკაცს და ქალს და მივიდა დასკვნამდე რომ ჯანმრთელობა ნაკლებად არის დამოკიდებული გარეგან ფაქტორებზე: მემკვიდრეობაზე, ასაკზე, სქესზე, კვების რაციონზე. ის მთლიანად ადამიანის განვითარების დონეზეა დამოკიდებული.

რაც უფრო მეტად არის განვითარებული ინტელექტი, მით უფრო მაღალია ჯანმრთელობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის დონე. ადამიანები, რომლებმაც დატოვეს მნიშვნელოვანი კვალი ისტორიაში, ცხოვრობდნენ უფრო დიდხანს, ვიდრე მათი თანამედროვეები.

ინტელექტი და ნარკოტიკები

რაც უფრო განვითარებულია ინტელექტი, მით უფრო მეტ ყურადღებას და მოვლას მოითხოვს ის.

თუ თქვენ მიიღებთ სუპერ თანამედროვე ავტომობილს, მაგრამ არ გეცოდინებათ როგორ უნდა მართოთ, რა ღილაკს რა ფუნქცია აქვს, მაშინ თქვენ მა ვერც დაქოქვთ ან შიზღება დაქოქოთ და დამრათ კიდევაც მაგრამა სადმე გადაიჩეხოთ.

თუ ჩვენ აზრების ჰიგიენით რეგულარულად არ ვართ დაკავებული, ძალიან მალე ინტელექტის მუშაობაში დაიწყება ჩავარდნები და წამოიქმნება უამრავი რობლემა ცხოვრებაში.

ცდილობდნენ რა რაღაცნაირად გამკლავებოდნენ ონტროლიდან გამოსულ ინტელექტს, ადამიანებმა გამოიგონეს ნარკოტიკი, რომელიც ანადგურებს ინტელექტს ტვინთან ერთად.

ეს კარგად ჩანს თავგებზე ჩატარებულ შემდეგ ექსპერიმენტზე. ჩვეულებრივ, თავგები სპირტს არ ეტანებიან. მათ რომ შესთავაზო ასარჩევად წყალი და სპირტი, ისინი სვამენ წყალს.

მაგრამ სიტუაცია იცვლება თუ მათ მივცემთ გარკვეულ ამოცანას. მაგალითად ჩავსვამთ ლაბირინთში, სადაც მათ ყნოსვას წვდება ყველის ნაჭერის სურნელი. თავგები იწყებენ გამალებულ მოძრაბას ლაბირინთში და ადრე თუ გვიან იპოვიან ნაჭერს. მაგრამ ზოგიერთი



თავი ვერ უძლებს ამ დატვირთვას და იწყებს სპირტის დაღევას. რაც უფრო რთულია ლაბირინთი, მით უფრო მით უფრო მეტია დაღეული სპირტის რაოდენობა. თავგები თანდათან სულ უფრო აგრესიულები ხდებიან და კბენენ ერთმანეთს.

რადაც მსგავსი რამე ხდება ადამიანებშიც. ისინი, ვინც აირივნი საკუთარ აზრებში, შვებას ალკოჰოლში და სვადდასხვა სახის ნარკოტიკებში ეძებენ. ნარკოტიკები კი ძირფესვიანად ანადგურებს ინტელექტს და ადამიანი ემსგავსება უტვინო ცხოველს.

ნარკომანები - ეს არიან საკუთარი აზრების ლაბირინთში გზაბნეული (გახლართული) ადამიანები.

როგორც კი ჩვენ დავიწყებთ საკუთარი ინტელექტის განვითარებას, ნარკოტიკები კარგავენ ჩვენთვის ყოველგვარ ღირებულებას და მიმზიდველობას. ასე რომ თუ თქვენ გიჭირთ რაიმე სახის დამოდებულებისგან (სიგარეტი, ალკოჰოლი, ნარკოტიკები) თვის დაღწევა, უბრალოდ განავითარეთ თქვენი ინტელექტი.

როგორ გავხდეთ გენიოსი ნებისმიერ დარგში

შევაჯამოთ ზემოთ თქმული ერთგვარი რეზიუმეს სახით:

1. ადამიანი ნებისმიერ პრობლემას, ნებისმიერ სფეროში აგვარებს ერთი და იმავე საშუალებით - საკუთარი „მე“-ს შეცვლით. ინტელექტი - ეს არის შესაძლებლობა მოახდინოთ თივტრანსფორმაცია. სწორედ ეს განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან.
2. ერთადერთი საშუალება განავითარო შენი შესაძლებლობები ნებისმიერ დარგში, არის პირველ რიგში საკუთარი ინტელექტის განვითარება.
3. ინტელექტს სჭირდება წვრთნა. თუ მას ხშირად არ ვიყენებთ, ის ატროფირდება.
4. ინტელექტი და სხეული ერმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. აზრების ჰიგიენა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სხეულის.
5. ინტელექტი მოითხოვს მუდმივ ყურადღებას და მოვლას. საკუთარი ინტელექტის გამოყენების ის უნარის არ ქონა იწვევს ნევროზებს და აჩენს ნარკოტიკებისადმი მიდრეკილების ალბათობას.

ყველაზე მნიშვნელოვანი რა შეიძლება ამოვიტანოთ ამ ყველაფრიდან?

ის, რომ ჩვენ არ ვართ შეზღუდული და თუ თანმიმდევრულად და მიდმივად განვავითარებთ საკუთარ ინტელექტს, შევძლებთ გავხდეთ გენიოსი ნებისმიერ დარგში.

ამიტომ დაფიქრდით, რისი მიღწევა გინდათ ცხოვრებაში, რისი შეცვლა გნდათ? რას მოყავხართ ნამდვილად აღტაცებაში, რისი შექმნა მოგწონთ:



კარგი მუსიკის;

ლამაზი ტილოების;

დიადი წიგნების;

დიდი გამოგონებების;

ძლევამოსილი კორპორაციების...

აირჩიეთ ნებისმიერი საქმიანობა და თამამად შეუდექით საქმეს. თქვენი ინტელექტი თქვენ დაგეხმარებათ. თქვენ გახდებით ბედნიერი ადამიანი და დატოვებთ საკუთარ კვალს დედამიწაზე.

შევხვდებით მწვერვალზე!

სიყვარულით და მადლიერებით, ხვიჩა მებონია

